ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 6-9

“ 15 ” დეკემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის №13-54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის №13-54 დადგენილება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის №13-54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის №13-54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის №13-54 დადგენილება (შემდგომში - დადგენილება).

დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებით ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს გაუქმება, აღნიშნული თავის მხრივ მიზნად ისახავს ბიუროკრატიის შემცირებასა და მუშაობის ეფექტურობის გაზრდას. შედეგად, გადაწყვეტილებების მიღება კონკრეტულ საკითხებზე მოხდება გაცილებით მოკლე დროში.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს და იგი არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

გ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.